საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №342

2002 წლის 19 ივლისი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის სისტემის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე

დამტკიცდეს თანდართული დებულება „სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის სისტემის შესახებ“.

ე. შევარდნაძე

დებულება

სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის სისტემის შესახებ

მუხლი 1. დებულების საფუძველი

დებულება „სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის სისტემის შესახებ“ ეფუძნება საქართველოს ტყის კოდექსის (მიღებულია 1999 წლის 22 ივნისს №2124-II-ს) VIII თავის 28-ე მუხლის I ქვეპუნქტს, XXXV თავის 116-ე მუხლის ბ) ქვეპუნქტის ბ.ე) ნაწილს და საქართველოს შესაბამის კანონმდებლობას.

მუხლი 2. დებულების მიზანი

ამ დებულების მიზანია სახელმწიფო ტყის ფონდის (შემდგომში – ფონდის) სისტემის ძირითადი პრინციპების დადგენა და ამ სფეროში უფლებამოსილი პირების კომპეტენციების გამიჯვნა.

მუხლი 3. დებულების რეგულირების საგანი

ამ დებულების რეგულირების საგანია ფონდის აღრიცხვის განხორციელების სფეროში აღრიცხვის სისტემის ცალკეული კომპონენტების განმახორციელებელ პირებს შორის წარმოქმნილი ურთიერთობები.

მუხლი 4. ფონდის აღრიცხვის სისტემა

1. ფონდის აღრიცხვა წარმოადგენს დამოუკიდებელ სისტემას და ყველა იმ შესაძლო ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ფონდის უწყვეტ მრავალმხრივ შეფასებას (ეკოლოგიური, ეკონომიკური და სხვა მაჩვენებლების მიხედვით) ტყის ფონდის ეფექტიანი მართვისა და საზოგადოების ინფორმირების მიზნით.

2. ფონდის აღრიცხვის სისტემის კომპონენტებია:

ა) ფონდის მონიტორინგი;

ბ) ფონდის კადასტრი;

გ) ტყეთმოწყობა.

3. ფონდის აღრიცხვის სისტემის საფუძველს წარმოადგენს ტყეთმოწყობა.

4. ფონდის აღრიცხვის განხორციელებისათვის ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს.

5. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს ფონდის შესახებ ინფორმაციას წარუდგენს დადგენილი მოცულობით და არსებული წესით.

მუხლი 5. ფონდის მონიტორინგი

1. ფონდის მონიტორინგი არის ფონდის შეფასების, მისი მდგომარეობის დინამიკაზე უწყვეტი დაკვირვების, ანალიზისა და პროგნოზირების სისტემა, რომლის მიზანია ფონდის მოვლის, დაცვის, აღდგენისა და ტყით სარგებლობის ეფექტიანი დაგეგმვა, სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოს მოსახლეობისათვის ფონდის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება.

2. ფონდის მონიტორინგის საბაზისო ინფორმაციას წარმოადგენს ტყეთმოწყობის მასალები.

3. ფონდის მონიტორინგის ის შედეგები, რომლებიც მიუთითებენ ტყეთმოწყობის შედეგად დადგენილი პარამეტრების მნიშვნელოვან ცვლილებაზე, ყოველწლიურად აისახება ტყეთმოწყობის პროექტში.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა შესასრულებლად ტყეთმოწყობის პროექტში ფონდის მონიტორინგის შედეგების ასახვა ხორციელდება „სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად, რომელსაც შეიმუშავებს საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

მუხლი 6. მონიტორინგის განხორციელება

1. ფონდის მონიტორინგის განხორციელების ძირითადი მიზანია:

ა) ფონდის ეფექტიანი მართვა;

ბ) ფონდის ტერიტორიაზე ბუნებრივი გარემოს მდგომარეობისა და მისი ცვლილების შეფასება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული მიზნებისათვის განხორციელებული ფონდის მონიტორინგის შედეგები უნდა ესადაგებოდეს ტყეთმოწყობისა და კადასტრის პარამეტრებს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული მიზნებისათვის სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის მონიტორინგის პარამეტრების ნუსხას, ყოველი კონკრეტული თემის მიხედვით, ამტკიცებს საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული მიზნებისათვის ფონდის მონიტორინგის პარამეტრები უთანხმდება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.

5. ფონდის ტერიტორიაზე სატყეო-სამეურნეო საქმიანობის ან/და ტყით სარგებლობის განხორციელებისათვის უფლებამოსილი იურიდიული პირი ფონდის მონიტორინგს ახორციელებს საკუთარი ძალებით და შედეგებს გადასცემს ტყის ფონდის ამ უბნის მართვისათვის უფლებამოსილ ორგანოს.

6. სატყეო-სამეურნეო საქმიანობის ან/და ტყით სარგებლობის განხორციელებისათვის უფლებამოსილი იურიდიული პირი შესაბამის ტერიტორიაზე მონიტორინგის განსახორციელებლად ინფორმაციას აგროვებს და

ტყის ფონდის ამ უბნის მართვისათვის უფლებამოსილ ორგანოს გადასცემს „სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად, რომელსაც შეიმუშავებს საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

მუხლი 7. უფლებამოსილებები ფონდის მონიტორინგის განხორციელების სფეროში

1. ფონდის დაცული ტერიტორიების მონიტორინგის განხორციელებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს.

2. ადგილობრივი ტყის ფონდის მონიტორინგის განხორციელებისათვის პასუხისმგებელია შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის სატყეო სამსახური.

3. იურიდიული პირის მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული ფონდის მონიტორინგის განხორციელებისათვის პასუხისმგებელია თვით ეს პირი.

4. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის მონიტორინგის განხორციელებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს.

5. თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო ტყის ფონდის რესურსებზე მონიტორინგის განხორციელებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტსა და სხვა სახელისუფლო ორგანოებს.

6. ფონდის მონიტორინგი, სათანადო დაფინანსებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ფარგლებში, უნდა განხორციელდეს ისეთი წესით და მეთოდებით, რომ მისი შედეგები აკმაყოფილებდეს მდგრადი მეტყევეობის განხორციელებაზე დაკვირვების საერთაშორისო მოთხოვნებს.

7. ფონდის მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო ვალდებულია თავის საქმიანობაში გაითვალისწინოს მის სამოქმედო ტერიტორიაზე სახელმწიფო მნიშვნელობის სხვა სახის მონიტორინგის განსახორციელებლად აუცილებელი პირობები.

8. ფონდის მონიტორინგის განხორციელების გეგმები ჰარმონიზირებული უნდა იქნეს ამავე ტერიტორიაზე მიმდინარე და მის მდგომარეობასთან დაკავშირებულ სხვა სახის მონიტორინგის განხორციელების გეგმებთან.

9. ფონდის მონიტორინგის განხორციელების წესი და მასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით „სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის წესის შესახებ“.

10. სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც აწარმოებს უწყვეტ დაკვირვებას ფონდის რესურსებზე, მის ცალკეულ კომპონენტებზე ან ტყის ფონდის მდგომარეობაზე და ფლობს შესაბამის ინფორმაციას, ვალდებულია დამუშავებული სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდოს ფონდის მონიტორინგის განხორციელებისათვის უფლებამოსილ შესაბამის ორგანოს.

მუხლი 8. ფონდის კადასტრი

1. ფონდის კადასტრი არის ფონდის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სხვა მაჩვენებლების მიხედვით შეფასება მისი მოვლის, დაცვის, აღდგენისა და რაციონალური გამოყენების, ტყის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებების სისტემატური კონტროლის, ფონდის შესახებ სახელმწიფო ორგანოებისა და მოსახლეობის ინფორმაციით უზრუნველყოფისა და სატყეო დარგის პერსპექტიული დაგეგმვის მიზნით.

2. ფონდის კადასტრი მოიცავს დაქვემდებარების მიხედვით ფონდის ტერიტორიების (უბნების) და მასზე არსებული რესურსების რაოდენობრივი, ხარისხობრივი აღწერისა და ეკონომიკური შეფასების მონაცემთა სისტემატიზირებულ ბაზას, აგრეთვე შესაბამის საკანონმდებლო საფუძვლებს.

3. ფონდის კადასტრი დგება ტყეთმოწყობის არსებული მასალების საფუძველზე, ხოლო მისი ყოველწლიური კორექტირება ხორციელდება მონიტორინგის შედეგების საფუძველზე ტყეთმოწყობის მასალებში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად.

4. ფონდის კადასტრი დგება სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის ადგილობრივი (ტერიტორიული) ორგანოების სამოქმედო ტერიტორიების კადასტრების საფუძველზე.

მუხლი 9. უფლებამოსილებები ფონდის კადასტრის წარმოების საქმეში

1. ფონდის დაცული ტერიტორიების კადასტრის წარმოებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს.

2. ადგილობრივი ტყის ფონდის კადასტრის წარმოებისათვის პასუხისმგებელია შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის სატყეო სამსახური.

3. იურიდიული პირის მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრის წარმოებისათვის პასუხისმგებელია თვით ეს პირი.

4. სახელმწიფო ტყის და სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის კადასტრის წარმოებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს.

5. თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო ტყის ფონდის რესურსების კადასტრის წარმოებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ორგანოებს.

6. კადასტრის წარმოებისათვის პასუხისმგებელი ორგანო უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია კადასტრის სრულყოფილი შედეგების მისაღებად.

7. ფონდის კადასტრის წარმოების მიზნით, საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი, ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურები და იურიდიული პირები თავიანთი სამოქმედო ტერიტორიების, ხოლო ამ მუხლის მე-4 პუნქტით უფლებამოსილი სხვა სახელისუფლო ორგანოები, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი რესურსების კადასტრის მასალებს გადასცემენ სატყეო მეურნეობის სახელ-მწიფო დეპარტამენტს.

8. ფონდის კადასტრის წარმოებისათვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტს დროულად მიაწოდოს ფონდის მიწების სრულყოფილი საკადასტრო მასალები.

9. ტყეთმოწყობის არსებული მასალების საფუძველზე ფონდის რესურსების ეკონომიკური შეფასების მეთოდოლოგიას, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, შეიმუშავებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი და ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო.

10. კადასტრის წარმოებისათვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს კადასტრის შედეგების ხელმისაწვდომობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. კადასტრის პარამეტრები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო მაჩვენებლებს.

მუხლი 10. ტყეთმოწყობა

1. ტყეთმოწყობის მიზანია ფონდის მოვლის, დაცვისა და აღდგენის ღონისძიებების განხორციელებისა და მათი ეფექტიანობის ამაღლების, ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების, აგრეთვე ამ სფეროში ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის გატარების დაგეგმვა.

2. ტყეთმოწყობის შედეგად დაგეგმილი ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას.

3. ტყეთმოწყობა ტარდება 10-წლიანი ციკლით და მისი განხორციელება სავალდებულოა სახელმწიფო ტყის ფონდის მთელს ტერიტორიაზე.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა რეალიზაციის მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვალოს ტყეთმოწყობის განხორციელება რეგიონალური მასშტაბით.

5. ფონდის იმ ტერიტორიაზე, სადაც საქართველოს კანონ-მდებლობით აკრძალულია ბუნებრივი გარემოდან მერქნითი რესურსების ამოღება, ან ამ ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების ამოღება მოსალოდნელი არ არის უახლოესი 10 წლის განმავლობაში, ტყეთმოწყობა შესაძლებელია განხორციელდეს გამარტივებული წესით.

მუხლი 11. უფლებამოსილებები ტყეთმოწყობის განხორციელების საქმეში

1. ფონდის დაცული ტერიტორიების ტყეთმოწყობის განხორციელებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს.

2. ადგილობრივი ტყის ფონდის ტყეთმოწყობის განხორციელებისათვის პასუხისმგებელია შესაბამისი თვითმმართველობის სატყეო სამსახური.

3. იურიდიული პირის მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული ფონდის ტყეთმოწყობის განხორციელებისათვის პასუხისმგებელია თვით ეს პირი.

4. სახელმწიფო სამეურნეო (გარდა ადგილობრივისა) ტყის ფონდის ტყეთმოწყობის განხორციელებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს.

5. სამთავრობო დაწესებულებები, სახელმწიფო დაწესებულებები და ორგანიზაციები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულნი არიან შესაბამის

პასუხისმგებელ პირებს ხელი შეუწყონ სახელმწიფო ტყის ფონდის ტყეთმოწყობის განხორციელების საქმეში.

6. ფონდის ტყეთმოწყობის ღონისძიებების განხორციელებაში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და შესაბამისი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები მონაწილეობენ საქართველოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

7. ტყეთმოწყობის მასალების გაცნობა სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისათვის.

8. ტყეთმოწყობის შედეგს წარმოადგენს ტყეთმოწყობის პროექტი, რომელსაც, „გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, დაცული ტერიტორიებისათვის ამტკიცებს საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი, ხოლო სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდისათვის – საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

9. ფონდის ტყეთმოწყობა ხორციელდება „სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის წესის შესახებ" დებულების შესაბამისად, რომელსაც შეიმუშავებს და საქართველოს კანონმდებლობის დაცვით ამტკიცებს საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

მუხლი 12. ფონდის აღრიცხვის დაფინანსება

ფონდის აღრიცხვის სისტემის დაფინანსება ხდება შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან. ამ მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სახსრები.